გენერალური საკრედიტო ხაზით მომსახურების ხელშეკრულება # -ის
დანართი - კომერციული პირობები

ქ. თბილისი, საქართველო **01 აპრილი, 2021 წელი**

1. წინამდებარე ხელშეკრულების მხარეებს წარმოადგენენ:

1.1. **ბანკი:**

1.1.1.	საფირმო სახელწოდება:	სს "ლიბერთი ბანკი"
1.1.2.	საიდენტიფიკაციო ნომერი:	203828304
1.1.3.	წარმომადგენლის სახელი და გვარი:	
1.1.7.	წარმომადგენლის თანამდებობა:	

1.2. **კლიენტი:**

1.2.1.	სახელი და გვარი/საფირმო სახელწოდება:
1.2.1.1.	პირადი ნომერი/საიდენტიფიკაციო ნომერი:
1.2.1.2.	წარმომადგენლის სახელი და გვარი:
1.2.1.3.	პირადი ნომერი:
1.2.1.7.	წარმომადგენლის თანამდებობა/სტატუსი:

2. საკრედიტო პროდუქტის გაცემის ზოგადი წინაპირობები

2.1. **ბანკი** განიხილავს **საკრედიტო პროდუქტის** გაცემის შესაძლებლობას თუ **კლიენტი** წარუდგენს **ბანკს**:

2.1.1. ინფორმაციას **კლიენტის** ყველა შესასრულებელი ან/და პირობითი ვალდებულების შესახებ (მათ შორის ერთმნიშვნელოვნად საკრედიტო ვალდებულებების შესახებ, კრედიტის თანხის, ვადის და საპროცენტო განაკვეთის მითითებით, ასევე ინფორმაციას საბანკო გარანტიების, აკრედიტივების, ფაქტორინგის და ა.შ. შესახებ) და მონაცემებს **კლიენტის** ქონებაზე/აქტივებზე არსებული შეზღდვის/აკრძალვის/ვალდებულებების შესახებ.

2.1.2. **ბანკის** მიერ მოთხოვნილ სრულ ანგარიშს/რეპორტს (მათ შორის ერთმნიშვნელოვნად სრულ ფინანსურ ანგარიშგებას).

2.1.3. **ბანკის** მიერ **კრედიტის** გაცემის მიზნით **კლიენტისაგან** მოთხოვნილ ნებისმიერი სხვა დოკუმენტს/ინფორმაციას.

3. ფინანსური ვალდებულებები

3.1. **კლიენტი** ვალდებულია:

3.1.1. არ აიღოს რაიმე დამატებითი საბალანსო ან გარესაბალანსო კრედიტები, სესხები ან/და მსგავსი ვალდებულებები;

3.1.2. **ხელშეკრულების** ძალაში შესვლიდან ნებისმიერი 12 (თორმეტი) თვიანი პერიოდის განმავლობაში არ განახორციელოს ინვესტიციები, დაიკისროს რაიმე ვალდებულებები ან/და გაწიოს ხარჯები, მათ შორის კაპიტალური დანახარჯები, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ამგვარი ინვესტიციების, ან/და ხარჯების გაწევა ან/და ვალდებულებების აღება შეესაბამება **ხელშეკრულების** საფუძველზე გაცემული **კრედიტის** (ან/და **ხელშეკრულებით** გათვალისწინებული სხვა საბანკო პროდუქტების) მიზნობრიობას, ან/და გახორციელებულია **კლიენტის** ჩვეული საქმიანობის ფარგლებში;

3.1.3. ნებისმიერი კალენდარული წლის განმავლობაში არ გასცეს დივიდენდები, თუ **გენერალური საკრედიტო ხაზის** მოცულობა აღემატება 1 000 000 (ერთი მილიონი) ლარს.

3.1.4. საბუღალტრო აღრიცხვა აწარმოოს საერთაშორისო ფინანსური ანგარიშგების სტანდარტებისა და **კანონმდებლობის** მოთხოვნათა სრული დაცვით;

3.1.5. უზრუნველყოს მისი ფულადი სახსრების ბრუნვა იმგვარად, რომ მნიშვნელოვანი საფრთხე არ შეექმნას მისი ფინანსური პროფილის სიჯანსაღეს, **კლიენტის** საქმიანობას და ეჭვქვეშ არ დადგეს **კლიენტის** მიერ **ხელშეკრულებით** ნაკისრი ვალდებულებების სრული და ჯეროვან შესრულება;

4. შეზღუდვები და აკრძალვები

4.1. **კლიენტი** ვალდებულია **ხელშეკრულებით** ნაკისრი ვალდებულებების სრულად და ჯეროვნად შესრულებამდე, დროის ნებისმიერ მონაკვეთში:

4.1.1. არ განახორციელოს **ხელშეკრულების** გაფორმების მომენტისათვის მის საკუთრებაში არსებული ქონების/აქტივების 5%-ზე მეტის განკარგვა (მათ შორის გასხვისება, გირავნობით/იპოთეკით დატვირთვა, იჯარით/ქირავნობით გაცემა და ა.შ).

4.1.2. უზრუნველყოს, რომ მისი ქონება/აქტივები არ დაიტვირთოს გირავნობით/იპოთეკით ან/და ნებისმიერი სხვა ვალდებულებით ან/და ქონებაზე/აქტივებზე არ გავრცელდეს შეზღუდვა/აკრძალვა/ყადაღა.

4.1.3. მიმართოს მის ხელთ არსებულ მაქსიმალურ ძალისხმევას, რომ არ დაუშვას უზრუნველყოფის საგნის მესაკუთრის ან/და თავდების (ასეთის არსებობის შემთხვევაში) მიმართ სახელმწიფო, ადგილობრივი ან/და მსგავსი უფლებამოსილების მქონე ორგანოს მიერ ისეთი გადაწყვეტილების მიღება ან/და ღონისძიების გამოყენება, რომელიც არსებითად გაართულებს ან/და შეუძლებელს გახდის თავდების ან/და **უზრუნველყოფის საგნის** მესაკუთრის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) მიერ საკუთარი ქონების განკარგვას;

4.1.4. არ დაუშვას მის მიმართ გადახდისუუნარობის საქმის წარმოების გახსნა ან მის მიმართ სასამართლო/საარბიტრაჟო წარმოების დაწყება, რითაც საფრთხე შეიძლება შეექმნას **კლიენტის** ქონებას ან/და საეჭვო გახდეს **კლიენტის** მიერ **ხელშეკრულებით** ნაკისრი ვალდებულებების სრული ან/და ჯეროვანი შესრულება;
4.1.5. უზრუნველყოს, რომ სასამართლოს, არბიტრაჟის, ადმინისტრაციული ორგანოს გადაწყვეტილების ან სახელმწიფოს ნორმატიული ან/და ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე ან/და სხვა ფორმით **უზრუნველყოფის საგნის** მესაკუთრის ან/და თავდების ნებისაგან დამოუკიდებლად საფრთხე არ დაემუქროს საკუთრების უფლებას **უზრუნველყოფის საგანზე**/ქონებაზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
4.1.6. უზრუნველყოს **უზრუნველყოფის საგნის** მესაკუთრის ან/და თავდების (ასეთის არებობის შემთხვევაში) მიერ **დაკავშირებული ხელშეკრულებით** განსაზღვრული ვალდებულებების სრულად და ჯეროვნად შესრულება;
4.1.7. თუ **უზრუნველყოფის საგანს** წარმოადგენს **ბანკის** სასარგებლოდ ფინანსური გირავნობით დატვირთული მოთხოვნები, ასეთ მოთხოვნებთან დაკავშირებით: (ა) მხოლოდ **ბანკთან** წინასწარ წერილობით შეთანხმებული საკრედიტო ხელშეკრულებებით გასცეს სესხ(ებ)ი; (ბ) **ბანკის** წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე არ შეცვალოს, არ შეწყვიტოს/გააუქმოს მოთხოვნები ან/და არ თქვას მოთხოვნაზე/უფლებაზე უარი (ვალის პატიება);
4.1.8. უზრუნველყოს, რომ **კლიენტის** ფულადი ვალდებულებების ნაშთი **ბანკის** წინაშე არ იყოს **უზრუნველყოფის საგნ(ებ)ის** ჯამური ღირებულების 85%-ზე მეტი;
4.1.9. **კლიენტის** მსესხებლ(ებ)ის მიერ განხორციელებული ფულადი ვალდებულებების შესრულებები დაადასტუროს მხოლოდ **ბანკთან** შეთანხმებული **სპეციალური ფორმით**;
4.1.10. **ფინანსური გირავნობის საგანთან** დაკავშირებით **კლიენტის** ნებისმიერი მსესხებლის მიერ განხორციელებული გადახდიდან 1 (ერთი) **საბანკო დღის** ვადაში, ამ გადახდილი თანხის ოდენობით, შეამციროს **საბანკო კრედიტი** ან **საბანკო კრედიტის** უზრუნველსაყოფად ფინანსური გირავნობით დატვირთოს შესაბამისი ღირებულების საკრედიტო მოთხოვნები, რომლებიც მინიმუმ 100%-ით უნდა იყოს უზრუნველყოფილი შესაბამისი ქონებით (ძვირფასეულობით).
4.1.11. არ დაუშვას მისი ძირითადი საქმიანობის სფეროს შეცვლა, რომელსაც ახორციელებს **ხელშეკრულების** გაფორმების მომენტისათვის;
4.1.12. არ განახორციელოს რეორგანიზაცია (გარდაქმნა, შერწყმა, გაყოფა) ან ლიკვიდაცია ან/და ნებისმიერი სტრუქტურული ცვლილება;
4.1.13. არ შეიტანოს ცვლილება **კლიენტის** წესდებაში ან/და ნებისმიერ შიდა რეგულაციაში, მათ შორის არ განახორციელოს **ხელშეკრულების** გაფორმების მომენტში არსებული **კლიენტის** გაცხადებული კაპიტალის შემცირება.
4.1.14. არ დაუშვას დამატებითი აქციების გამოშვება ან/და **კლიენტის** კაპიტალში პარტნიორთა წილობრივი მონაწილეობის ცვლილება ან/და **კლიენტის** აქციების/წილის გასხვისება/განკარგვა/ნებისმიერი უფლებით/ვალდებულებით დატვირთვა.

5. დამატებითი პირობები

5.1. **კლიენტი** ვალდებულია დააზღვიოს **ბანკის** მოთხოვნით განსაზღვრულ სადაზღვევო შემთხვევები.

6. დასკვნითი დებულებები

6.1. წინამდებარე **დანართი** მასში განხორციელებული ცვლილებ(ებ)ის ან/და დამატებ(ებ)ის ჩათვლით, წარმოადგენს **გენერალური საკრედიტო ხაზით მომსახურების ხელშეკრულების** შემადგენელ და განუყოფელ ნაწილს.
6.2. წინამდებარე **ხელშეკრულების** ხელმოწერის შემთხვევაში **გენერალური საკრედიტო მომსახურების შესახებ ხელშეკრულების** თითო იდენტური ეგზემპლარი გადაეცემათ **მხარეებს**.

7. მხარეთა ხელმოწერები

8. ბანკი | კლიენტი

____________________ | ____________________